მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის

ქ. თბილისი „11“ ივლისი 2013 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – „შემოსავლების სამსახური“), წარმოდგენილი მისი უფროსის ლაშა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოე ქინქლაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-12 მუხლის 1[1] პუნქტით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში „შემოსავლების სამსახური“ კისრულობს ვალდებულებას გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში განხორციელებული განაცემების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, „სააგენტოს“ მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია (მისცეს წვდომა) ფიზიკური პირების შემოსავლების (შემდგომში ინფორმაცია) თაობაზე.

2. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება „შემოსავლების სამსახურის“ სერვერის საშუალებით – მისამართი ftp://nas.fas.ge .

3. ინფორმაციის მოწოდება ხორციელდება Access-ის ფორმატში და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს (ველებს):

ა) საგადასახადო პერიოდი;
ბ) თანხის მიმღების დასახელება (გვარი, სახელი);
გ) თანხის მიმღების პირადი ნომერი;
დ) დამსაქმებელი;
ე) დამსაქმებლის საიდენტიფიკაციო ნომერი;
ვ) განაცემის სახე;
ზ) განაცემის თანხა;
თ) დაკავებული გადასახადი (ლარი).

4. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ყოველი თვის 19 რიცხვში, აღნიშნული თარიღისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე.

5. თუ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ინფორმაციის მიწოდება ხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

6. წინამდებრე მემორანდუმში ცვლილების შეტანა ხორციელდება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების გზით.

7. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

8. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

9. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

11. მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემოსავლების სამსახური“	„სააგენტო“
სსიპ – შემოსავლების სამსახური ქ. თბილისი, 0114, ვ. გორგასლის N16 საიდენტიფიკაციო კოდი N204525585	სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927
ლაშა ხუციშვილი შემოსავლების სამსახურის უფროსი	ნოე ქინქლაძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი